პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 12 (18854) შაბათი, 14 იანვარი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის სხდომაზე განიხილა ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელების მთელი რიგი საკითხები.

მიღებულია დადგენილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შექმნის 25 წლისთავის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ მშრომელთა ინიციატივით შექმნილ ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით საგრძნობი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში. აღინიშნა მათი აქტიურობა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთაში, კანონების დაცვისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის მუშაობის განხორციელებაში. ბევრი სახალხო რაზმელი წარმატებით უხამებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის მუშაობას მაღალნაყოფიერ შრომასა და ფრიადზე სწავლას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ რესპუბლიკების და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა უზრუნველყონ, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს მშრომელთა მონაწილეობა საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საკუთრების დაცვაში, განახორციელონ სახალხო რაზმების ორგანიზაციული განმტკიცების ღონისძიებანი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ნიადაგ იხვეწებოდეს სახალხო რაზმების საქმიანობა, იზრდებოდეს მათი როლი მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებაში, ღრმავდებოდეს რაზმებისა და სამართალდამცველი ორგანოების თანამოქმედება. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებს ურჩევა მიეცათ მოაწყონ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, რაზმელთა ოპერატიული კომკავშირული რაზმების საქმიანობის დათვალიერებანი, სახალხო რაზმების აქტივის კრებები და შეკრებანი ქალაქებსა და რაიონებში, უზრუნველყონ სახალხო რაზმების მუშაობის დადებითი გამოცდილების ფართო გაშუქება პრესის ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე შეფასება მიეცა ვითარებას, რომელიც იქმნება იმის შედეგად, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და იტალიის ტერიტორიაზე დაიწყო ახალი ამერიკული რაკეტების განლაგება, და დაისახა ამ ვითარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრაქტიკული ღონისძიება.

პოლიტბიურომ მოისმინა და მოიწონა ამხ. ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ო. ფიშერთან მისი მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

მოწონებულია ამხ. გ. ვ. რომანოვის მეთაურობით წარგზავნილი სკკპ დელეგაციის საქმიანობა, რომელიც მონაწილეობდა გერმანელთა კომუნისტური პარტიის VII ყრილობის მუშაობაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIX კონფერენცია

13 იანვარს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIX კონფერენციამ.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ზ. დ. პაპუნიამ.

ირჩევენ კონფერენციის ხელმძღვანელ ორგანოებს: პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო კომისიას.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ე. ა. შევარდნაძე, ბ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. მ. არხიპოვი, ბ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ქ. შარტავა, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

დამსწრეთ ერთსულოვნად, უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

დელეგატებმა დაამტკიცეს კონფერენციის დღის წესრიგი და მუშაობის რეგლამენტი:

1. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

2. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა;

ბ) საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიისა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა მისმა პირველმა მდივანმა ზ. დ. პაპუნიამ.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება დელეგატებს წინასწარ დაურიგდათ გასაცნობად, იგი არ წაუკითხავთ. ამ მოხსენების გამო შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ [illegible].

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ პარტიის [illegible] რ. ი. ჯავახიშვილი, ფოლად-თუჯსაჩამომსხმელო ქარხნის მეკობეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ზ. ნ. ქურტანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ქ. ხარაძე, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ი. ლალიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი ა. ი. შირინკინი.

კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ე. ი. ქანდელაკმა.

გაგრძელდა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ 123-ე საშუალო სკოლის პედაგოგი მ. ზ. ინასარიძე, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტკომის მდივანი ა. ს. მიხაილოვი, თბილისის საქალაქო აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი გ. ი. დიდბარიძე, საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრი ზ. გ. ლეჟავა, „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოს გვირაბგამყვანი თ. შ. გოგიაშვილი, თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ე. სარალიძე, პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი ა. ი. აზიროვი, გაერთიანება „თბილისქალაქმშენის" უფროსი მ. ვ. ქვიჟიძე, პატონის სახელობის ელექტრომზსადუღი მოწყობილობის ქარხნის მეინსტრუმენტე ზეინკალი ვ. ა. შინკარენკო, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ლ. ი. ოქრუაშვილი, ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ს. ჯანჯღავა, მექანიკური ქარხნის დირექტორი ი. ს. მეიშვილი, 1-ლი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ვ. აროშიძე, პარტიის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი ქ. ვ. ქაპანაძე, აზრუმუმის საწარმოო გაერთიანების მჭრელი დ. ქ. ქუნჟულია, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. ვ. დუმბაძე.

ინფორმაცია გააკეთა ქალაქ თბილისის პროკურორმა ს. ს. ნანიტაშვილმა.

14 იანვარს კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

ხალხის დიდი ნდობა

ქვეყანაში გრძელდება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საოლქო არჩევნებისწინა თათბირები. თათბირებზე მსჯელობენ კრებებზე დასახელებული ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში კანდიდატურების შესახებ. საბჭოთა ადამიანები ურღვევი ერთიანობით ეგებებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

მოსკოვი, ოქტომბრის საარჩევნო ოლქი. 13 იანვარს აქ გაიმართა მოსკვორეჩიისა და ოქტომბრის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო არჩევნებისწინა თათბირი. თათბირზე გამოსვლისას ცნობილმა ნოვატორმა ვ. ნ. ლიდოვსკიმ — სერგო ორჯონიკიძის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხსაშენი ... ტორმა, ტ. ა. ტიმოფეევამ — ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ა. პ. პონდინიაკოვმა — სრულიად საკავშირო ალკკ ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა, ო. გ. შიროკოვამ — საკონდიტრო ფაბრიკა „უდარნიცას" დამფასოებელმა.

...

გაერთიანების მღარავის ა. შ. სადიკოვის კანდიდატურა.

თათბირმა ერთსულოვნად გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს კიროვის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად **ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვისა და ალბერტ შაკირზიანის ძე ხადიკოვის** დასახელებას და სთხოვეს მათ დათანხმდნენ კენჭი იყარონ ამ საარჩევნო ოლქში.

სარატოვში გაიმართა ლენინის საარჩევნო ოლქის შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა არჩევნებისწინა თათბირი. ...

...

ერთსულოვნების ვითარებაში

სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვების, პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას ცხადყოფენ რესპუბლიკაში მიმდინარე საოლქო არჩევნებისწინა თათბირები. ერთსულოვნად, უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით უჭერენ მხარს მშრომელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დასახელებულ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში

კარგი გუნება-განწყობილებით ...

...

როვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატს რ. ი. ქემოკლიძეს.

— არჩევნებს მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ვხვდებით, — თქვა მან. — ჩვენი ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერ-...

...

სოხუმის ლენინის საარჩევნო ოლქში

...

სტუმრად მხატვართან

...

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენცია მუშაობას განაგრძობს.

XXXIX

წინსვლის, შენების გზით

გუშინ დედაქალაქის კომუნისტების რჩეულნი თავიანთ XXXIX პარტიულ კონფერენციაზე შეიკრიბნენ. დელეგატები, მოწვეული სტუმრები — რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსეული ადამიანები ღრმად და საფუძვლიანად აანალიზებენ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, აჯამებენ მიღწეულს, მსჯელობენ აგრეთვე იმაზე, თუ როგორ, რა გზით უნდა ხრულყონ მუშაობის ფორმები და მეთოდები, როგორ დაძლიონ ხტილი მოღვაწეობისა, რომლითაც ამ ბოლო წლების მანძილზე დადებითად ხასიათდება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია.

ის მაღალი შეფასებანი, რომლებსაც ამ ბოლო წლების მანძილზე სკკპ ცენტრალური კომიტეტი აძლევს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, უმთავრესად და უპირველესად სწორედ დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციას ეხება. იგი ხომ, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, საქართველოს კომპარტიის მებრძოლი რაზმი, მისი მუშაობის ლაბორატორიაა.

შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მოწოდებას—მიაღწიონ კოლექტივებში შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდებას 1 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების დამატებითი შემცირებას 0,5 პროცენტით — ერთ-ერთი პირველი თბილისის სამრეწველო საწარმოები გამოეხმაურნენ. თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონმშენებელი ქარხნის კოლექტივის პატრიოტულ თაოსნობას პროდუქციის თვითღირებულების დამატებით შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გაზრდის თაობაზე დედაქალაქის თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო გამოეხმაურა. ამასთან შრომითი კოლექტივები, ეძიებენ დამატებით შესაძლებლობებს, რათა შრომის ნაყოფიერება გეგმის გადამეტებით ერთი კი არა, 1,2 ან 1,5 პროცენტით გაზარდონ, ხოლო პროდუქციის ...

... რომ ძალთა მაქსიმალური მობილიზებით, კომუნისტთა ავანგარდული როლის გადიდებით უზრუნველვყოთ ამ წლის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება და ამით ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინებას შევუწყოთ ხელი. ეს იქნება ჩვენი პასუხი საქმით იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც სკკპ XXVI ყრილობა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის, დეკემბრის პლენუმები გვისახავენ.

ნოდარ წარსია

კომუნისტო, წინ!

ჩემს ეპოქასთან ის მაქვს საერთო,
რომ ვარ პოეტი და კომუნისტი...
რომ გულის საქმე უნდა ვაკეთო
და უნდა ვიდგე რწმენის გულისთვის.
ჩემს ეპოქასთან ის მაქვს საერთო,
„მარსელიოზა" რომ გვეუნებდა,
დროშები წითლად როცა აენთო,
— ეს იყო ხმევა საუკუნეთა.
ჩემს ეპოქასთან ის მაქვს საერთო,
რომ ხალხთან იდგა, ვიცი, ლენინი...
მათ არ შეეძლოთ უერთმანეთოდ,
ბელადად იყო ის მოვლენილი.

ისე იბრძოდნენ, ისე წვალობდნენ,
როგორც მიზანი უკარნახებდათ...
პატიოსნებას მათგან ვსწავლობდი
და აღარ ძალმიძს უკანდახევა.

მათი ცხოვრება და სიხადავე,
ყოველთვის იყო რწმენის სათავე.

მათი გმირობა მექცა ზმანებად,
წინ, კომუნისტო! —
მესმის ბრძანება.

ისე იბრძოდნენ,
ისე წვალობდნენ,
როგორც მიზანი უკარნახებდათ...
პატიოსნებას მათგან ვსწავლობდი
და აღარ ძალმიძს უკანდახევა.

...ჩემს ეპოქასთან ის მაქვს საერთო,
რომ ვარ პოეტი და კომუნისტი...
რომ სიმართლისთვის უნდა ავენთო
და უნდა ვიდგე რწმენის გულისთვის!

სამშობლოს სუნთქვა მექცა ზმანებად,
წინ, კომუნისტო! —
მესმის ბრძანება.

ასე მოვედით კონფერენციაზე

მაფერებელნი მოყვასნი

კონფერენციის დელეგატთა შორის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ინტენსიური სწავლების რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ლ. შადური. ცენტრი დიდ დახმარებას უწევს უცხო ენის შესწავლით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

სურათზე: ლ. შადური სტუდენტებთან.

ს. ქილაძის ფოტო.

დედაქალაქის კომუნისტთა ფორუმზე

შენდება მუხიანი

ამ დასახლებას 1981 წელს ჩაეყარა საფუძველი. თბილისის რუკაზე დილმის და გლდანის საცხოვრებელ მასივებს, ...

ლ. ხუბულური.

ერთი სურვილი გაერთიანებს

წინა კონფერენციაზე ითქვა — რა გაკეთდა?

საქართველოს კომპარტიის თბილისის XXXVIII საქალაქო კონფერენციის დელეგატებმა ახეთი დევიზი წამოაყენეს — გამოვაცხადოთ მეთერთმეტე ხუთწლედში სოციალისტური შეჯიბრება ნედლეულის, მასალების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიისა და მომჭირნე ხარჯვისათვის.

— დღეს გარკვეული შედეგების შეჯამება უკვე შესაძლებელია. ასე, მაგალითად, ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე დაზოგილია 16 ათასი ტონა შავი ლითონი, 20 ათას ტონაზე მეტი ცემენტი, 142 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და სხვა რესურსები. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაუმჯობესდა მეორეული რესურსებისა და წარმოების ნარჩენების გამოყენების ტექნოლოგია.

— კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო საუბარს მოსახლეობის მუდმივი გულისწყრომის საგანზე — საქალაქო მეურნეობაზე. განსაკუთრებულად გაისვა ხაზი სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხს. ყველა „ხარვეზი" დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. ...

... ამის წინათ ვაშლოჯვარის მოსაპირკეთებელ მასალათა კომბინატში საექსპლოატაციოდ გადაეცა ამ სისტემის პირველი რიგი. მთელი სისტემის ამუშავების შემდეგ მარტო ეს ერთი საწარმო წელიწადში 246.600 კუბურმეტრ სასმელ წყალს დაზოგავს. გარდა ამისა ეს საწარმოს უნარჩენო წარმოებას უზრუნველყოფს.

შენდება, მშვენდება, მხრებს შლის ახალი თბილისი — მუხიანის დასახლება.

ძველი თბილისის ფერისცვალება.

ნ. კრიხაძის და ვ. ლომაძის ფოტო.

განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა კარს მოგვადგა. ხორცი ესხმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებას: ჩვენ ამჟამად ხელთ გვაქვს რეფორმის პროექტი — შესანიშნავი საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის განვითარებაში თვისებრივად ახალ ეტაპს შექმნის.

პროექტის სრულყოფილება, მისი ორმოცივე პუნქტი კმაყოფილებას განაცდევინებს ყველას, ვინც პედაგოგიურ დაინტერესებულია სასკოლო და უმაღლესი განათლების მომავლისთვის, არსებითი გაუმჯობესებით. აქ ვპოულობთ ბევრი კითხვისა და პრობლემის პასუხსა და გადაწყვეტას; ბევრი კეთილი მიზნის განხორციე- [illegible]

სკოლა და რეფორმა

წერილი პირველი

რული საშუალო 9-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ყველა ვაჟი და ქალიშვილი იღებს საშუალო განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის X-XI კლასებში ან საშუალო პროფტექნიკურ სკოლაში, სადაც სწავლება 3 წელია. 11-წლიანი სკოლა საბჭოთა საზოგადოების უდიდესი მონაპოვარი იქნება.

ტად ხშირად მიმართავს ბრძანებებს, მუქარას, იძულებას, დასჯას, ზოგჯერ ბავშვის პიროვნების შეურაცხყოფასაც. თუმცა სკოლაში საყოველთაო საშუალო განათლების კანონი მოქმედებს, მასწავლებელთა ნაწილი მაინც ძველ გზას მისდევს, ისევ ავტორიტეტული და იმპერატიული პოზიციებიდან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ძალის პოზიციიდან" ცდილობს, რომ ...

ზე ახალი პარტიულ-სახელმწიფოებრივი სიტყვაა ნათქვამი, დახატულია მისი ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი პორტრეტი: „სახალხო მასწავლებელი ნორჩი პიროვნების სულიერი სამყაროს შემოქმედი, საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირია, რომელსაც იგი აბარებს ყველაზე ძვირფასს, ყველაზე საუნჯეს — ბავშვებს, თავის იმედს, თავის მომავალს. ...

[illegible]

საშუალო სკოლის ისტორიის კურსში მეტად მცირე ადგილს იკავებს საქართველოს ისტორიის სწავლება. მოსწავლეები სკოლას ისე ამთავრებენ, რომ კარგად არ იციან მშობლიური მხარის წარსული. უთუოდ უნდა ვიზრუნოთ ამ ნაკლის გამოსწორებაზე, რადგან იგი ზიანს აყენებს პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს. უნდა ვიზრუნოთ იმისთვისაც, რომ საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლებას უფრო მეტი დრო დაეთმოს ქართულ სკოლაში, და იმისთვისაც, რომ გავაუმჯობესოთ სახელმძღვანელოები და სრულვყოთ მეთოდიკა.

გრიგოლ კობახიძე,
სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი, თბილისის 77-ე სკოლის დირექტორი.

შალვა ამონაშვილი,
ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.

როდიონ ქორქია

გარდაიცვალა უხუცესი ქართველი მწერალი, ქართული საბჭოთა სახავეში მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი როდიონ ქორქია, დვაწლმოსილი მოქალაქე შემოქმედი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშობელი ხალხის, მშობლიური ლიტერატურის სამსახურს, მის წინსვლასა და აყვავებას შეალია.

როდიონ ქორქია დაიბადა 1894 წლის 1 იანვარს სოფელ ქალადიდში, ყოფილი ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში. 1909 წელს მან დაამთავრა ფოთის სამოქალაქო სასწავლებელი, ხოლო 1914 წელს ფოთის გიმნაზია. იმავე წელს იგი შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში. საიდანაც მობილიზაციით ჯარში გაიწვიეს. ტაშკენტის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო პირველ იმპერიალისტურ ომში. 1919 წლიდან როდიონ ქორქია წითელი არმიის რიგებში იბრძოდა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ.

1920 წელს მწერალი საქართველოში დაბრუნდა, ჯერ ფოთში მუშაობდა, შემდეგ კი თბილისში გადმოსახლდა. 1925-1933 წლებში იგი სამეცნიერო ორგანოებში მუშაობდა, 1934 წელს იყო ...

სამშობლოს სიყვარულს, უნერგავს გმირობას, ვაჟკაცობას და მეგობრობის სულისკვეთებას. ასევე შთამაგონებელია სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობები „ბუდიონის პაიარონი", „ოქსანა", „მიშა პოპოვი" და სხვ.

[illegible]

... განებად იქცა.

მკითხველს დღემდე აღელვებს დიდი მხატვრული სიმართლით დაწერილი მოთხრობების კრებული ვ. ი. ლენინზე. შესანიშნავი მოთხრობა „მარილის აკვანში", რომელშიც სამოქალაქო ომის ქარცეცხლიანი დღეებია აღწერილი. ეს ნაწარმოები ნორჩ თაობას შთააგონებს სოციალისტური ...

... 1938 წელს იგი ... შელის ახლად დაარსებული პრემიის პირველი ლაურეატი გახდა.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი შემოქმედი, სამაგალითო მოქალაქე და მამულიშვილი. როდიონ ქორქიას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მადლიერი ქართველი ხალხის გულში.

ე. ა. შევარდნაძე, ზ. დ. გაბუნია, ბ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. შ. ჯანგირიძე, ი. ხ. აბაშიძე, ზ. გ. აბაშიძე, ნ. ვ. დუმბაძე, დ. ა. ალექსიძე, ე. დ. ამაშუკელი, გ. შ. ორჯონიკიძე, ე. ნ. შენგელაია, გ. შ. ციციშვილი, ჯ. ა. ჩარკვიანი, შ. გ. ნიშნიანიძე, რ. ს. მიშველაძე, თ. ი. ბილაძე, მ. ტ. ლასურია, ფ. ი. ხალვაში, კ. ი. მარლიევი, დ. ვ. კვიცარიძე, ხ. მ. ბერულავა, მ. თ. ფოცხიშვილი, ბ. ი. ფანჯიკიძე, მ. ი. მაჭავარიანი, რ. ა. მარგიანი, ა. ს. სულაკაური, ს. ე. ბილაია, ჯ. ნ. ღვინჯილია, ვ. ვ. ბელიძე, ნ. დ. აბიაშვილი, ნ. ა. ცვანია, ბ. დ. ჯაფარიძე.

ხალხის დიდი ნდობა

(დასასრული)

[illegible]

ლთა წარმომადგენლების არჩევნებისწინა თათბირი. ამ ოლქის მომართ ...

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება კონსტანტინე ...

[illegible]

უნივერსიტეტი

ჩინეთ—ამერიკის მოლაპარაკება

ვაშინგტონი. აქ ოფიციალური ვიზიტად მყოფი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჟაო ძიანი შეხვდა პრეზიდენტ რ. რეიგანსა და სახელმწიფო მდივან ჯ. შულცს. შეხვედრისას განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები და საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემები.

როგორც ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა თქვა, მოლაპარაკებაზე „შეინიშნება პროგრესი" შეთანხმებათა სერიის დადების გზაზე, მათ შორის ბირთვულ დარგში, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში „ეკონომიკური რეფორმების" რეალიზაციაში ამერიკის ბიზნესის მონაწილეობის გააქტიურებას, ჩინეთის ეკონომიკაში ამერიკის კაპიტალდაბანდებათა გაფართოებას. „შეერთებული შტატები, — განაცხადა რეიგანმა, — ახლა მნიშვნელობით ჩინეთის მესამე სავაჭრო პარტნიორია. ამერიკის კაპიტალდაბანდებანი ჩინეთში აღემატება ყველა სხვა ქვეყნის კაპიტალდაბანდებებს".

თეთრ სახლში გამართულ სადილზე გამოსვლისას ჩინეთის პრემიერმა გამოთქვა იმედი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი ახლანდელი ვიზიტი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეიგანის მომავალი ვიზიტი უზრუნველყოფენ ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობის „სტაბილურ განვითარებას", „რომლის გაფართოება ჯერ კიდევ არ არის საკმარის დონეზე". ჟაო ძიანმა შემდეგ თქვა, რომ ბოლო წლების მანძილზე ამ ურთიერთობაში „დაძაბულობა ენაცვლებოდა აღმავლობას" და დღემდე „არის სიძნელეები და დაბრკოლებანი", მათ შორის ტაივანის პრობლემა. მან ურთიერთობის შემდგომი განვითარება განაპირობა მხარეთა მიერ იმ პრინციპების განუხრელი დაცვით, რომლებიც წინათ დადასტურდა ერთობლივ კომუნიკეში.

ამერიკის მხარის ცნობები მიუთითებს, რომ მოლაპარაკებაზე განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, მათ შორის „კამპუჩიისა და კორეის რეგიონალური პრობლემები". ამ ცნობებიდან ჩანს, რომ რ. რეიგანი და სახელმწიფო მდივანი შულცი ცდილობდნენ დამახინჯებულად წარმოედგინათ საბჭოთა პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში, რისთვისაც იყენებდნენ გაცვეთილ მტკიცებებს „საბჭოთა სამხედრო უპირატესობის", „საბჭოთა საფრთხის" შესახებ და ა. შ.

თუ პრესის ცნობებით ვიმსჯელებთ, რეიგანის მოწოდებებზე, მიიღონ „ორმხრივი სტრატეგიული გეგმები და ვალდებულებანი", ჟაო ძიანს რეაგირება არ მოუხდენია, თუმცა თქვა, რომ ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობის მნიშვნელობა „არ იფარგლება ჩვეულებრივი ორმხრივი ურთიერთობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მას მიიჩნევს ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს მდგომარეობაზე მთელ მსოფლიოში".

ვაშინგტონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს ორ შეთანხმებას სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

პოლიტიკური მეთვალყურეების შეფასებით, რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც აჩქარებს ორი ქვეყნის მთავრობათა მიღწევას, ისწრაფვის გააქტიუროს ამერიკა-ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირურთიერთობა, სტიმული მისცეს დასავლეთისათვის ხელსაყრელ ტენდენციებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში.

კრესა კდასტურებს

დასავლეთის ძირგამომთხრელი აქციები

მოლოდ

ს. კირიანუს წინადადება

დემოგრაფია

ბაში საბალეტო დასს

თეატრის მხატვარი

სოლიკო ვირსალაძის დაბადებიდან 75 წლისთავის გამო

ნათელა ალადაშვილი.

დღევანდელი ნომრის სტუმარი

დრამატურგის პუბლიცისტური ნერვი

ჩაბახი

სატურნირო ორბიტა

ტელევიზია

14 იანვარი

მოსკოვი

თბილისი

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434